

სამუზეუმო ტექსტების ქართულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნის
თავისებურებები

ანა გაბელაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ანგლისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მატარაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ანა გაბელაია

თარიღი - 19/06/2025

აბსტრაქტი

გლობალიზაციისა და საერთაშორისო ტურიზმის ზრდის ფონზე მუზეუმების, როგორც კულტურათაშორისი კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტების, როლი საგრძნობლად გაიზარდა. ამის გათვალისწინებით, განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა სამუზეუმო ტექსტების თარგმნის საკითხმა. წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს სამუზეუმო დისკურსის ქართულიდან ინგლისურ ენაზე თარგმნის თავისებურებების კვლევას. ამასთანავე, კვლევის ამოცანაა კულტურულად სპეციფიკური ინფორმაციის, კერძოდ, რეალიების, ინგლისურ ენაზე გადათარგმნისას წარმოქმნილი გამოწვევებისა და გამოყენებული თარგმანის ხერხების იდენტიფიცირება.

კვლევა ეყრდნობა თვისებრივი ანალიზის მეთოდს. თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია ჰანს ფერმიერის მიერ შემუშავებული სკოპოსის თეორია, ლორენს ვენუტის კონცეფცია, რომლის ფარგლებში გამოიყოფა გაშინაურების და გაუცხოების სტრატეგიები და პიტერ ნიუმარკის მიერ გამოყოფილი კულტურული რეალიების თარგმანის კონცეფცია. ნაშრომში მოცემულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანძურის კატალოგსა და სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის კატალოგში წარმოდგენილი ეთნოგრაფიული, არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური და ხელოვნების ამსახველი ქართულენოვანი ტექსტებისა და მათი ინგლისურენოვანი თარგმანების ანალიზი.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სამუზეუმო ტექსტების თარგმნისას გამოიყენება მრავალფეროვანი სტრატეგიები, მათ შორის ტრანსკრიფცია, ფუნქციური ეკვივალენტი, დესკრიფციული თარგმანი და, ხშირ შემთხვევაში, მათი კომბინაცია. ამასთანავე, იკვეთება გაშინაურების სტრატეგიის ხშირი გამოყენება, რაც გულისხმობს წყარო ტექსტის ინფორმაციის ნაწილობრივ გამარტივებას სამიზნე აუდიტორიისთვის ტექსტის აღქმის გაიოლების მიზნით, თუმცა ამ პროცესში ზოგჯერ იკარგება მნიშვნელოვანი კულტურული ნიუანსები. მთარგმნელობითი სტრატეგიის არჩევა უმეტესწილად თარგმანის მიზნით, ანუ სკოპოსით არის განპირობებული.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ტექსტი, მუზეუმი, თარგმანი, სკოპოსის თეორია, გაშინაურების და გაუცხოების სტრატეგიები, კულტურული რეალიების თარგმნა

Abstract

Against the backdrop of globalization and the growth of international tourism, the role of museums as important instruments of intercultural communication has significantly increased. In this context, the issue of translating museum texts has gained particular relevance. The present paper aims to explore the theoretical aspects and practical strategies of translating museum discourse. In addition, the research task is to identify the challenges and translation techniques used in the translation of culturally specific information, namely, realia, into English.

The research methodology is based on qualitative analysis. The theoretical framework draws on Hans Vermeer's Skopos theory, developed within the functionalist paradigm of translation, as well as Lawrence Venuti's concepts of domestication and foreignization strategies. The paper presents an analysis of Georgian-language texts and their English translations from the catalogs of the Georgian National Museum and the Svaneti Museum of History and Ethnography, including ethnographic, archaeological, numismatic, and art-related materials.

The research findings reveal that a variety of strategies are employed in the translation of museum texts, including transcription, functional equivalence, descriptive translation, and often combination of these methods. Furthermore, the frequent use of domestication strategies is evident, which involves partially simplifying the source text information to facilitate comprehension for the target audience. However, this process sometimes results in the loss of important cultural nuances. Consequently, the choice of translation strategy is largely determined by the purpose of the translation, that is, the skopos.

Key Words: Text, Museum, Translation, Skopos theory, Domestication and Foreignization Strategies, Translation of Cultural Realia.